



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ლევიე ემილ

ლევიე (Levier) ემილ (1839, ბერნი, – 1911, ფლორენცია), იტალიელი ბოტანიკოსი. 1890 წ. II ნახ-ში ცნობილ ბუნებისმეტყველ სტეფანე სომიესთან ერთად, ადგილობრივი ფლორის შესწავლის მიზნით იმოგზაურა კავკასიაში. ლ-მ მოიარა აქარა, იმერეთი, აფხაზეთი, სვანეთი; კოდორის ხეობით გადავიდა ჩრდ. კავკასიაში, საიდანაც საქართვ. სამხ. გზით ჩავიდა თბილისში, შემდეგ დაბრუნდა ბათუმში. მოგზაურობისას ლ-მ აღმოაჩინა ბოტანიკოსებისთვის მანამდე უცნობი მრავალი მცენარე. მან აგრეთვე შეაგროვა მდიდარი ეთნოგრ. და ანთროპოლოგიური მასალა, მ. შ. ბათუმისა და თბილისის აღწერილობა. თბილისის შესახებ იგი წერს: „მაღლიდან ქალაქი საღამოს უამს მშვენიერი სანახავია. ასე მგონია, ეიფელის კოშკიდან გადავცექერი გაჩირაღდნებულს პარიჟსა-მეთქი ... ევროპული სიცხოველე და მოძრაობა ტფილის არ აკლია. ქუჩაში ათასნაირი ხალხი ირევა, რომელთა შორის გაარჩევთ რუსის ოფიცრებს, გლეხებს, ქალებს პარიზის უკანასკნელ მოდაზე მორთულთ და სხვა ... ყველაზე უფრო ხშირად ქართველებს ვხვდებით ჩერქეზული ტანისამოსით მორთულებს, წელზე რომ ხანჭალი არ ეკიდოთ, ბერები გეგონებათ“. ლ-ს ჩანაწერები ექსპედიციის დაწყებისთანავე ქვეყნდებოდა შვეიცარიულ ჟურნ. „Biblioteque Universelle“-ში, რამაც კიდევ უფრო გააღვივა ევროპელთა დაინტერესება საქართველოს ისტორიითა და კულტურით. ლ-ს წერილების ნაწილი მაღევე გამოიცა ქართულ ენაზე (1894).

ლიტ.: ჭ ე ი შ ვ ი ლ ი ა., მ ა რ გ ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ა., ემილ ლევიეს მოგზაურობა კავკასიაში, თბ., 2020.

გ. ჩინჩალაძე